მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39

2013 წლის 30 დეკემბერი

დ.მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 13 მარტის N–18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' 2013 წლის 13 მარტის N–18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. **20/03/2013 სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.103.016084).**

1. **I-თავში, მუხლი 1–ს დაემატოს – მე–4 ქვეპუნქტი და** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1.

4 .საკრებულოს აპარატი არ არის იურიდიული პირი. აპარატს აქვს ბეჭედი და ბლანკი.

2. **II-თავში, მუხლი 4–ს დაემატოს — ,,დ“–ქვეპუნქტი და** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) იურიდიულ საკითხთა განყოფილება.

3. **III-თავს** დაემატოს – **მუხლი 7[1]** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი – III.

მუხლი 7[1]. იურიდიულ საკითხთა განყოფილება:

ა) ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებლივ აქტებს:

ბ) მონაწილეობას იღებს შესაბამის კომისიებთან ერთად საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებლივი აქტების მომზადებაში;

გ) ორგანიზაციულ და მეთოდურ დახმარებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს ფრაქციებს, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებლივი აქტებისა და სოციალურ–ეკონომიკური შინაარსის პროექტების შემუშავებაში;

დ) ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებლივი აქტების პროექტების სამართლებლივ ექსპერტიზას:

ე) წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;

ვ) ახდენს საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების სამართლებლივი აქტებისკოდიპიკაციას და სისტემატიზაციას: აკონტროლებს მათ შესაბამისპობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებლივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. **III-თავის მე–6 მუხლიდან, ამოღებულ იქნეს –,,ე“– ქვეპუნქტი;**
5. **IV-თავის მე–8 მუხლიდან, ამოღებულ იქნეს –,,ე“ –ქვეპუნქტი;**
6. **V-თავის მე–10 მუხლიდან, ამოღებულ იქნეს – მე–3 –ქვეპუნქტი;**
7. **V-თავში, მუხლი11.** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 11. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და შტატების დამტკიცების წესი

აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს, თანამდებობათა დასახელებებს და შტატებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისადამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 2

დადგენილება გამოქვეყნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა ხორგუანი**